№1401 2015 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „თბილისი - ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი“ ფარგლებში, „თბილისი 2015“ - ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „თბილისი - ტურისტულად მიმზიდველი ქალაქი“ ფარგლებში, მიეცეს უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას „თბილისი 2015“ - ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის, ფესტივალის სიმბოლოს - „ხოხობი“ პნევმო კონსტრუქციების მოწყობის მომსახურების შესყიდვა, 60 000 (სამოცი ათასი) ლარის ოდენობით, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**